სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/31

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის ბორის გითოლენდიას 2025 წლის 5 ივნისის №0000630571 სამსახურებრივი ბარათის, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის №4 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/106 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/106 დადგენილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ;

2. აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის:
   ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „გ) №502 ტრანსპორტისა და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტი;“;
   ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.
3. ცვლილებები აისახოს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საშტატო განრიგში;
4. დადგენილება ძალაში შევიდეს 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**